

საქართველოს კანონი

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997. გვ.86) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. კანონის მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი (შემდგომში გაერთიანებული შტაბი) არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი და ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოპერატიულ მართვას“.

„5. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“.

„6. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბს ხელმძღვანელობს გაერთიანებული შტაბის უფროსი, რომელიც არის საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო მრჩეველი და პასუხისმგებელია ამ მუხლის მე-7 პუნქტით გაერთიანებული შტაბისათვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაზე.“

2. კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გაერთიანებული შტაბი:“

3. კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) ახორციელებს კანონმდებლობითა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი